პრესრელიზი

5 მარტს, 19:00 საათზე კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში წარადგენს ისტორიულ-კულტურულ ნარკვევს "ტაო-კლარჯეთი".

შოთა რუსათაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ტაო-კლარჯეთი, ისტორია და კულტურა" ფარგლებში მომზადდა და დაიბეჭდა სამენოვანი (ქართული,, ინგლისური, თურქული) ნარკვევი.

აღნიშნული წიგნი ერთიანი კომპლექსური ნაშრომია, რომელიც დახმარებას გაუწევს სპეციალისტებსაც და საზოგადოების ფართო წრეებს. დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ ამ წიგნით გაეცნონ ტაო-კლარჯეთის ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე.

ტაო-კლარჯეთი, ისტორიული ზემო ქართლის, მესხეთის ნაწილი, თანამედროვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე, მრავალმხრივ საინტერესო ისტორიული მხარეა. მის როლსა და მნიშვნელობას ნათლად აჩვენებს დღემდე შემორჩენილი ასეულობით ციხე-კოშკი, სამონასტრო კომპლექსები, ეკლესიები და სხვა.

აღნიშნული პროექტი ამ რეგიონის პოპულარიზაციასა და მის შემდგომ კვლევას ემსახურება.

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაგიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 577 977 199

მარია წერეთელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 598 84 84 88

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Web: www.manuscript.ge